106
1940/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივნისის 12 | № 14 | თბილისი

## შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

52. 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.
53. საუკეთესო პიესის საკავშირო კონკურსის პირველი ტურის ჩატაოების შესახებ.
54. იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების ასი წლისთავის ჩატარების შესახებ.

Qьrgьz SSR Mamleket publ. biblioteka
№
Госуд. публ. библиотека Киргиз. ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

## 52. 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და რაიონულ ფინორგანოებს:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ახსნა-განმარტებით მუშაობის ჩატარებას, რათა სოფლის მოსახლეობას გააცნონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი და იმ შემოსავლის წყაროების აღრიცხვის წესი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კანონით გათვალისწინებული იმ შეღავათების განმარტებას, რაც გადასახადის გადამხდელთ ენიჭებათ;

ბ) 1940 წ. 10 ივნისამდე ჩაატარონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, საგადასახადო აგენტებისა და საფინანსო აქტივის ინსტრუქტიული თათბირები, რომლებზედაც გულმოდგინედ გააცნონ მათ კანონი და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქციო წერილი 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ;

გ) შეამოწმონ ყველა სასოფლო საბჭოში საკომლო წიგნების შევსების სისრულე და სისწორე და შემოსავლის წყაროების აღრიცხვის დაწყებამდე უზრუნველჰყონ ყველა იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც ახასიათებენ მეურნეობათა შესახებ მონაცემების არასწორად შეტანას საკომლო წიგნებში;

დ) მოაწყონ, ფინორგანოების მიერ დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისაგან, საწარმოებისაგან, სასოფლო საბჭოებისაგან და სხვ. მიღება დამხმარე მასალების, რომლებიც შეტანილ უნდა იქნას კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დასაბეგრ შემოსავალში და რომლებიც უნდა შეეხებოდეს პერიოდს 1939 წლის 1 ივლისიდან 1940 წლის 30 ივნისამდე.

ე) 1940 წ. 1 ივლისს შეუდგნენ ყველგან გადამხდელთა და მათი შემოსავლის წყაროების აღრიცხვას და უზრუნველჰყონ ამ მუშაობის დამთავრება 1940 წ. 1 აგვისტოსათვის, ამასთან გამოჰყონ ამ მიზნით საფინანსო ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები;

ვ) 5—10 აგვისტოს პერიოდში მოაწყონ საგადასახადო აგენტთა მიერ წარმოებული აღრიცხვის მასალების შემოწმება და გადასახადის გამოანგარიშება, ხოლო საგადამხდელო უწყებათა ჩაბარება დაამთავრონ 1940 წ. 15 აგვისტოსათვის.

ზ) 1940 წ. 1 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა სიები და დასაბუთებული მასალები შეღავათების მისანიჭებლად, კანონის 26 მუხლის საფუძველზე.

არაუგვიანეს 15 აგვისტოსა საქართველოს სსრ სახალხო კომისა[illegible] ქოს წარმოუდგინონ რაიონის იმ ხელმძღვანელ მუშაკთა სიები არაუმეტეს 30 კაცისა, რომლებიც, კანონის 27 მუხლის თანახმად, განთავისუფლებულ უნდა იქნან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

თ) შეამოწმონ ადგილზე მოხუცებულობის გამო შრომისუნარმოკლებულ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების სიები, რომლებშიაც, შეიტანონ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მხოლოდ ის მეურნეობანი, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ კანონის 23 მუხლში აღნიშნულ პირობებს;

ი) 1940 წ. 1 ივნისიდან დაწყებული, ყოველდეკადურად მოისმინონ რაიფინგანების გამგეთა მოხსენებანი მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 1 ივნისიდან—გადასახადის გადამხდელთა, მათი მოსავლის წყაროების აღრიცხვის, გადასახადის გამოანგარიშებისა და საგადასახადო უწყებათა ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ.

2. დაევალოს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს საქართველოს განყოფილებას (ამხ. გელაშვილს) დაუყოვნებლივ მოაწყოს ყველა რაიონში სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნების შევსების სისწორის შემოწმება და არაუგვიანეს 1940 წ. 20 ივნისისა დაამთავროს აღნიშნული წიგნების მოყვანა სათანადო წესრიგში. ამ მიზნით მიავლინოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად ცენტრალური აპარატის მუშაკები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა) უზრუნველჰყოს საჭირო ღონისძიებათა თავის დროზე გატარება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხაზით წარმოებული მთელი მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის, კერძოდ აღრიცხვის ფორმებისა და ბლანკების თავის დროზე დაბეჭვდა და გაგზავნა, რაიონული მუშაკებისათვის ინსტრუქტაჟის გაწევა და სხვ.

ბ) არ დაუშვას კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრა ოჯახის მეთაურის ან სრულწლოვანი წევრის გამოუკითხავად. როდესაც გადამხდელთა ჩვენების მონაცემები არ ეთანხმება ფინორგანოების მასალებს, მოაწყოს მასალების შემოწმება ადგილზე;

გ) ფართობის ისეთ მასივზე მოფანტული ხეხილის აღრიცხვის დროს, რომელზედაც დათესილია სხვა კულტურები ან რომელიც სხვა კულტურებს უჭირავს, დასაბეგრი შემოსავალი გამოიანგარიშოს ცალკე თითოეული კულტურის მიხედვით, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მეურნეობის საერთო ფართობი, რაც აღრიცხულია ამ კულტურებისათვის, არ აღემატებოდეს ფაქტიურ ფართობს, რომლითაც კოლმეურნის მეურნეობა სარგებლობს.

დ) გადამხდელთა და მათი შემოსავლის წყაროების აღრიცხვის ჩატარებასთან ერთად აწარმოოს მოხუცებულთა მეურნეობების იმ სიების დეტალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმება, რომლებსაც სასოფლო საბჭოები დასამტკიცებლად უდგენენ აღმასრულებელ კომიტეტებს.

ე) განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიოს იმას, რომ სწორად და სავსებით მიენიჭოს შეღავათები წითელარმიელთა, ომისა და შრომის ინვალიდთა მეურნეობებს და იმ მეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები 12 წლის ასაკამდე.

4. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პირველ ვადად დაწესდეს 1940 წლის 15 სექტემბერი.

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმისათვის, რომ გადამხდელებმა ვადამდე შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადასახდელები.

5. დაწესდეს 1940 წლისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის კულტურებისა და დარგების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

6. დაწესდეს შემდეგი მსხმოიარე ასაკი მრავალწლოვანი სარგავებისათვის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ციტრუსოვანი კულტურების . . . | 7 | წელზე მეტი | |
| ვენახების . . . . . . . . . | 4 | „ „ | |
| კურკოვანი ხილის ბაღების . . . . | 5 | „ „ | (გარდა ატმის ნარგავებისა) |
| ატმის ნარგავების . . . . . . . | 4 | „ „ | |
| თესლოვანი ხილის ბაღების . . . . | 10 | „ „ | |
| კეთილშობილ დაფნის ნარგავების . | 4 | „ „ | |
| ჩაის პლანტაციების . . . . . . . | 5 | „ „ | |

7. შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 17 თებერვლის დადგენილების „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში და მუშებისათვის რომლებიც მუშაობენ სსრ კავშირის მარგანეცის მრეწველობის მიწისქვეშა სამუშაოზე“ (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 5, მუხ. 157):

ა) განთავისუფლებულ იქნან 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც 1937 წლის 1 იანვრის შემდეგ გადასახლდნენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით კოლხიდის დაბლობის ამოშრობილ მიწებსა და აფხაზეთის ასსრ თავისუფალ მიწებზე;

ბ) განთავისუფლებულ იქნას 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან მთელი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს ზემო-სვანეთის რაიონში, აგრეთვე დუშეთის რაიონის არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოსა და შატილის სასოფლო საბჭოებში და ყაზბეგის რაიონის სოფელ ართხმოსა და ჯუთაში;

გ) მიენიჭოს 1940 წელს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ხულოს და ქედის რაიონების, აგრეთვე ახალქალაქის რაიონის ხავეთისა და ოკამის სასოფლო საბჭოების, ბათუმის რაიონის კირნათის, აჭარისაღმართის, აჭარისწყალის, სარ-

მუხ. 52 ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის, გონიოსა და თხილნარის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლები გამოანგარიშებული გადასახადის თანხის 50% რაოდენობით;

დ) ტუნგოს პლანტაციების განვითარების სტიმულირების მიზნით, განთავისუფლებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან კოლმეურნეთა პირადი შემოსავალი, რაც მიღებულია ამ პლანტაციებიდან;

ე) განთავისუფლებულ იქნან 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან იმ პირთა მეურნეობანი, რომლებიც კონტრაქტაციის ან თვითმიმაგრების წესით იმუშავებენ ქიათურის მარგანეცის მრეწველობის მიწისქვეშა სამუშაოზე ვადით არანაკლებ ერთი წლისა.

8. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გატარებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს უშუალო ხელმძღვანელობა და ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიონ 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების ხაზით წარმოებულ მთელ მუშაობას, უზრუნველჰყონ ყოველგვარი დახმარების გაწევა ფინორგანოებისათვის ამ საქმეში და მიიღონ საჭირო ზომები გადამხდელთა და მათი შემოსავლის წყაროების აღრიცხვის წარმატებით ჩასატარებლად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატიურად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. ჯვარიშეიშვილი.**

1940 წ. მაისის 29. № 960.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## 1940 წ. საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით.

| რაიონები | მარცვლ. და სხვა კულტურები შემდგომ გრაფებში ჩამოთვლ. კულტურების გარდა | კარტოფილი | შაქრის ჭარხალი | ბამბა | ჩაი | თამბაქო | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1. აბაშის | 600 | 900 | 300 | 2000 | 2000 | 1750 | 4000 |
| 2. ალბულაღის | 500 | 1100 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 3. ადიგენის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 4. ამბროლაურის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 5. ასპინძის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 6. ახალქალაქის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 7. ახალციხის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 8. მაიაკოვსკის | 600 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 9. ბაშკიჩეთის | 500 | 1250 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 10. ბოგდანოვკის | 500 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 11. ბორჯომის | 380 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 12. ბორჩალოს | 600 | 1250 | „ | „ | „ | 2600 | „ |
| 13. ვანის | 600 | 900 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 14. გეგეჭკორის | 600 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 15. გორის | 500 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 16. გურჯაანის | 600 | 900 | „ | „ | „ | 2000 | „ |
| 17. დუშეთის | 380 | 900 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 18. ზესტაფონის | 500 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 19. ზუგდიდის | 600 | 770 | „ | „ | „ | 2000 | „ |
| 20. ყაზბეგის | 380 | 900 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 21. ყარაიას | 600 | 1000 | „ | „ | „ | 2000 | „ |
| 22. ქარელის | 500 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 23. კასპის | 500 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 24. ყვარლის | 600 | 1000 | „ | „ | „ | 2600 | „ |
| 25. ქვემო-სვანეთის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 26. ქუთაისის | 600 | 900 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 27. ლაგოდეხის | 600 | 900 | „ | „ | „ | 2[illegible]00 | „ |
| 28. ლანჩხუთის | 600 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 29 ლუქსემბურგის | 600 | 1250 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 30. მახარაძის | 600 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 31. მცხეთის | 500 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 32. ონის | 380 | 900 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 33. ორჯონიკიძის | 380 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 34. ფოთის | 500 | 770 | „ | „ | „ | 1750 | „ |
| 35. საგარეჯოს | 600 | 1000 | „ | „ | „ | 1750 | „ |

| ბოსტნები და ბაღჩები | ბაღები (მათ შორის სუბტროპიკული ნარგავები) და სანერგეები | ვენახები | ციტრუსები | ეთერზეთოვანი ველები | სათიბები | მეაბრეშუმეობა (1 კგ [illegible]) | მეფუტკრეობა: ჩარჩოიანი სკა | მეფუტკრეობა: ძელური სკა | შემოსავალი 1—სული პროდუქტიული პირუტყვიდან: ძროხები | შემოსავალი 1—სული პროდუქტიული პირუტყვიდან: ცხვრები და თხები | შემოსავალი 1—სული პროდუქტიული პირუტყვიდან: ღორები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ცხენები და აქლემები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ბუღები, ხარები და კამეჩები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 1900 | 4000 | 4200 | 3500 | 2000 | 400 | 140 | 30 | 15 | 300 | 30 | 150 | 400 | 200 მანეთი ყველა რაიონებისათვის. |
| 2500 | 3000 | 6500 | — | " | 400 | 100 | 30 | 15 | 420 | 80 | 150 | 400 | |
| 1820 | 2800 | 4200 | — | " | 280 | 100 | 20 | 10 | 245 | 21 | 105 | 280 | |
| 1900 | 3000 | 5500 | — | " | 400 | 100 | 30 | 15 | 300 | 30 | 150 | 400 | |
| 1820 | 2800 | 4200 | — | " | 280 | 100 | 20 | 10 | 245 | 21 | 105 | 280 | |
| 1820 | 2800 | 4200 | — | " | 280 | 100 | 20 | 10 | 245 | 21 | 105 | 280 | |
| 1820 | 2800 | 4200 | — | " | 280 | 100 | 20 | 10 | 245 | 21 | 105 | 280 | |
| 1900 | 3000 | 6500 | — | " | 400 | 140 | 30 | 15 | 300 | 30 | 150 | 400 | |
| 1820 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 420 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 420 | " | " | " | |
| 2500 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 420 | " | " | " | |
| 3000 | 3000 | 6500 | — | " | " | 100 | " | " | 420 | " | " | " | |
| 2500 | 4000 | 6500 | — | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 4200 | 3500 | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 4500 | 5500 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4000 | 6500 | — | " | " | 180 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1820 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 6500 | — | " | " | 180 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1820 | 4000 | 4200 | 3500 | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1820 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4500 | 6500 | — | " | " | 180 | " | " | 420 | " | " | " | |
| 2500 | 4500 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 2500 | 4500 | 5500 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4000 | 6500 | — | " | " | 140 | " | " | 420 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4500 | 6500 | — | " | " | 180 | " | " | 300 | " | " | " | |
| 2500 | 4000 | 5500 | — | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 4200 | 6500 | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4500 | 6500 | — | " | " | 140 | " | " | 420 | " | " | " | |
| 1900 | 4500 | 4200 | 6500 | " | " | 140 | " | " | 300 | " | " | " | |
| 3000 | 4500 | 5500 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 4200 | — | " | " | 100 | " | " | 300 | " | " | " | |
| 1900 | 3000 | 6500 | — | " | " | 180 | " | " | 300 | " | " | " | |
| 2500 | 3000 | 4200 | 6500 | " | " | 140 | " | " | 306 | " | " | " | |
| 2500 | 4000 | 6500 | — | " | " | 100 | " | " | 420 | " | " | " | |

გაგრძ. დანართი № 1

**1940 წ. საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით.**

| რაიონები | მარცვლ. და სხვა კულტურები შემდგომ გრაფებში ჩამოთვლ. კულტურების გარდა | კარტოფილი | შაქრის ჭარხალი | ბამბა | ჩაი | თამბაქო | [illegible] | ბოსტნეული და ბაღჩეული | ბაღები (მათ შორის სუბტროპიკული ნაყოფები) და კენკროვნები | ვენახები | ციტრუსები | [illegible] | სათიბები | მეცხოველეობა (1 პირობით [illegible]) | მეფუტკრეობა: ჩარჩოიანი სკა | მეფუტკრეობა: ბუდრის სკა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 36. სამტრედიის | 600 | 770 | 300 | 2000 | 2000 | 1750 | 4000 | 3000 | 4500 | 5500 | 3500 | 2000 | 400 | 1-0 | 30 | 15 |
| 37. საჩხერის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 5000 | 6500 | — | - | - | 100 | - | - |
| 38. სიღნაღის | 600 | 900 | - | - | - | 1750 | - | 3000 | 4000 | 6500 | — | - | - | 180 | - | - |
| 39. თბილისის | 500 | 900 | - | - | - | 2000 | - | 3000 | 4500 | 5500 | — | - | - | 100 | - | - |
| 40. თელავის | 600 | 1000 | - | - | - | 1750 | - | 3000 | 4000 | 6500 | — | - | - | 180 | - | - |
| 41. თიანეთის | 380 | 1100 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 4200 | — | - | - | 100 | - | - |
| 42. ტყიბულის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 4500 | 4200 | — | - | - | 180 | - | - |
| 43. ხაშურის | 500 | 1100 | - | - | - | 1750 | - | 3000 | 4000 | 4200 | — | - | - | 100 | - | - |
| 44. ხობის | 600 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 4000 | 4200 | 3500 | - | - | 140 | - | - |
| 45. ცაგერის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 3000 | 4200 | — | - | - | 100 | - | - |
| 46. წალენჯიხის | 380 | 770 | - | - | - | 2000 | - | 1820 | 3000 | 4200 | 3500 | - | - | 140 | - | - |
| 47. წალკის | 380 | 1000 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 4200 | — | - | - | 100 | - | - |
| 48. წითელ-წყაროს | 600 | 1000 | - | - | - | 2000 | - | 2500 | 3000 | 6500 | — | - | - | 180 | - | - |
| 49. წყალტუბოს | 600 | 770 | - | - | - | 1750 | - | 3000 | 4500 | 5500 | — | - | - | 180 | - | - |
| 50. ცხაკაიას | 600 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 4000 | 4200 | 3500 | - | - | 140 | - | - |
| 51. წულუკიძის | 600 | 900 | - | - | - | 1750 | - | 2500 | 4000 | 5500 | — | - | - | 180 | - | - |
| 52. ჭიათურის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 5500 | — | - | - | 100 | - | - |
| 53. ჩოხატაურის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 4000 | 4200 | 3500 | - | - | 140 | - | - |
| 54. ჩხარის | 500 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 6500 | — | - | - | 140 | - | - |
| 55. ჩხოროწყუს | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 3000 | 4200 | 3500 | - | - | 140 | - | - |
| **აფხაზეთის ასსრ** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 56. სოხუმის | 600 | 1100 | - | - | - | 2600 | - | 3000 | 4500 | 5500 | 6500 | - | - | 140 | - | - |
| 57. ოჩამჩირის | 600 | 900 | - | - | - | 2600 | - | 1900 | 4000 | 4200 | 6500 | - | - | 140 | - | - |
| 58. გუდაუთის | 500 | 1100 | - | - | - | 2600 | - | 3000 | 4000 | 5500 | 6500 | - | - | 140 | - | - |
| 59. გალის | 600 | 900 | - | - | - | 2000 | - | 1900 | 4000 | 4200 | 6500 | - | - | 140 | - | - |
| 60. გაგრის | 500 | 1100 | - | - | - | 2600 | - | 3000 | 4500 | 5500 | 6500 | - | - | 140 | - | - |
| **აჭარის ასსრ** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 61. ბათუმის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 2500 | 4000 | 4200 | 6500 | - | - | 100 | - | - |
| 62. ქობულეთის | 600 | 900 | - | - | - | 1750 | - | 2500 | 4500 | 5500 | 6500 | - | - | 100 | - | - |
| 63. ქედის | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 2800 | 4200 | — | - | - | 100 | 20 | 10 |
| 64. ხულოს | 380 | 770 | - | - | - | 1750 | - | 1820 | 2800 | 4200 | — | - | - | 100 | 20 | 10 |
| **სამხრეთ-ოსეთის ა/ო** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 65. სტალინირის | 550 | 1100 | - | - | - | 1750 | - | 2500 | 4500 | 5500 | — | - | - | 100 | 30 | 15 |
| 66. ლენინგორის | 380 | 1100 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 4000 | 5500 | — | - | - | 100 | 30 | 15 |
| 67. ზნაურის | 500 | 900 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 4200 | — | - | - | 100 | 30 | 15 |
| 68. ჯავის | 380 | 1100 | - | - | - | 1750 | - | 1900 | 3000 | 4200 | — | - | - | 100 | 30 | 15 |

მუხ 52

| შემოსავალი 1—სული პროდუქტიული პირუტყვიდან | | | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში | |
|---|---|---|---|---|
| ძროხები | ცხვრები და თხები | ღორები | ცხენები და აქლემები | ბუღები, ხარები და კამეჩები |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 300 | 30 | 150 | 400 | 200 მანეთი ყველა რაიონებისათვის. |
| 300 | " | " | " | |
| 420 | " | " | " | |
| 420 | " | " | " | |
| 420 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 420 | " | " | " | |
| 420 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 300 | " | " | " | |
| 245 | 21 | 105 | 280 | |
| 245 | 21 | 105 | 280 | |
| 300 | 30 | 150 | 400 | |
| 300 | 30 | 150 | 400 | |
| 300 | 30 | 150 | 400 | |
| 300 | 30 | 150 | 400 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**53. საუკეთესო პიესის საკავშირო კონკურსის პირველი ტურის ჩატარების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1940 წლის პირველ სექტემბერს ჩაატაროს საუკეთესო პიესის კონკურსის პირველი რესპუბლიკური ტური.

2. დაწესდეს კონკურსის შემდეგი პრემიები:

| | |
|---|---|
| პირველი პრემია . . . . . . | 20.000 მანეთი |
| მეორე „ . . . . . . | 15.000 „ |
| მესამე „ . . . . . . | 10.000 „ |

და ორი წასახალისებელი პრემია 2.500 მანეთი თითო.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დახარჯოს 1940 წელს კონკურსის ჩასატარებლად 50.000 მანეთი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. ჯვარიშეიშვილი.**

1940 წ. ივნისის 2. № 1015.
თბილისი.

---

**54. იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების ასი წლისთავის ჩატარების შესახებ.**

იმის გამო, რომ 1940 წ. 15 ოქტომბერს სრულდება გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. ს. გოგებაშვილის დაბადების ასი წლის თავი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღინიშნოს ი. ს. გოგებაშვილის დაბადების ასი წლის თავი 1940 წლის ოქტომბერში.

2. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან მოეწყოს ი. ს. გოგებაშვილის დაბადების ასი წლის თავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კო-

მუხ. 54
ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. კიკნაძე (თავმჯდომარე), გ. თავაძე, ვ. ეგნატაშვილი, თ. ბირკაძე, ვ. ხატიაშვილი, ი. აბაშიძე, დ. ყიფშიძე, ა. მურუსიძე, გ. გაბისონია.

3. დაევალოს რესპუბლიკურ კომისიას ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ი. ს. გოგებაშვილის დაბადების ასი წლის თავის ჩასატარებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. ჯვარიშეიშვილი.**

1940 წ. ივნისის 2. № 1016.
თბილისი.

= 21811
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ. Груз.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 28

УЭ 652 შეკვ. № 906 ტირაჟი 2000

Собр. пост. и распоряж.